# იმერეთი

ფასი: წლიურათ 7 მ., ნახევარი წლით 4 მ., თვიურათ 3 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური.
წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მანეთი დანარჩენი კიდევ ნაწილ-ნაწილათ. საზღვარგარეთ წლიურათ 15 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 6 აბაზი.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ. 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 2 საათამდე ღირს 3 მ. 2 საათის შემდეგ 4 მანათი.

ოთხშაბათი 16 ივლისი

მისამართი: ქუთაისი, რედაქცია გაზ. „იმერეთი“ თფილისის ქუჩა, ფირალოვის თამბაქოს ქარხნის პირდაპირ შესახვევში, სახლი ოცხელისა.

ტელეფონი № 4.

№ 106 ყოველდღიური გაზეთი წელიწადი მესამე 1914 № 106


ეროვნული ბიბლიოთეკა


ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## — „იმერეთი“ —

ახალის რედაქციით და თანამშრომლებით.

ხელის მოწერა მიიღება 1914 წლისათვის

**გაზეთის ფასი:**

| | | |
|---|---|---|
| ერთი წლით | . . . . | 7 მანეთი. |
| ნახევარი წლით | . . . . | 4 მანეთი. |
| ერთი თვით | . . . | 3 აბაზი. |
| და ცალკე ნუმრის | . . . | 1 შაური. |

წლიური დასაკვეთიეთაზ ისწ ფასის გადახდა ნაწილ-ნაწილათაც შეიძლება ამ სახით: ხელის მოწერის დროს—სამი მანეთი, პირველ მაისს—ორი მანეთი და პირველ ეკენისთვესაც—ორი მანეთი. საზღვარგარეთ გაზეთი წლიურათ ღირს 15 მ. 1/2 წ.—8 მ., თვიურათ 6 აბაზი.

სოფლის მასწავლებლებსა და სოფლის უფასო წიგნსაცავ-სამკითხველოებს გაზეთის ეძლევათ წლიურათ 6 მ., ნახევარი წლით 3 მანეთად და თვიურათ 3 აბაზეთ.

**ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით** редакція „ИМЕРЕТИ“ Гавріилу Ивановичу Дарахвелидзе **სხვა გვარად გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.**

რედაქცია უმორჩილესათ სთხოვს თავის კორესპონდენტებს კორესპონდენციები სწერონ ქაღალდის ცალ გვერდზე, გარკვევით და გაურკვევლად ნაწერი წერილები განუხილავი დარჩება. წვრილმან წერილების გამო რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას არა კისრულობს.


თავადი გიორგი ალმასხანის ძე, ძენი მისნი: ექიმი ასლანი, ინჟინერი ბიქტორი, ალექსანდრე, ჯიუ, რძლებით: კნ. სარრა, ანნა პასიკო გელოვანები, ქალიშვილები: კნ. ელენტა ჩიჩუასი და ტასია ჩიქოვანისა ქმრებით გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ პირველი საყვარელი მეუღლის, მეორენი და უკანასკნელნი ძვირფასი დედის და მესამენი დაუვიწყარი დედამთილის კნეინა

### ეკატერინა ნიკოლოზ ყიფიანის

ასულის გადაცვალებას, რომლის გამოსვენებაც დანიშნულია ოთხშაბათს, 16 ივლისს, საკუთარ სახლიდან სოფ. სპათაგორში, ლეჩხ. მაზრა. დასაფლავება სოფ. ახალქალაქს საგვარეულო სასაფლაოზე. პანაშვიდები ყოველდღე საღ. 6 საათზე.


## შექსპირი ქართულად!

### გამოცემა ივანე მაჩაბლის თარგმანებისა.

მიიღება ხელის მოწერა ივ. მაჩაბლის მიერ ნათარგმნ

## შექსპირის

რვა ტრაღედიის გამოცემაზე: (ჰამლეტი, ოტელო, მეფე ლირი, მაკბეტი იულიუს კეისარი, ანტონიუს და კლეოპატრა, კორიოლანოს და რიჩარდ მესამე). - გამოცემა იქნება ერთ წიგნად და შეიცავს ათასამდი გვერდს, დიდი ფორმატისას. გამოცემას დაერთვის ბიოგრაფიები შექსპირისა და ივანე მაჩაბლისა და მათივე სურათები. ფასი ხელის მოწერით: 3 მან. შემდეგ ფასი გადიდებული იქნება. ვისთვისაც ერთად ფასის გადახდა საძნელოა,—მათთვის ხელის მოწერა განაწილებულია სამ ვადად: **პირველი** შემოსატანი—1 მან. მეორე—პირველ ნოემბერს—1 მ., და მესამე—1 მ. 7 იანვარს 1915 წელს.

წიგნი დარიგდება 1915 წელს თებერვლის განმავლობაში. ხელის მოწერა მიიღება **თფილისში**: ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების წიგნის მაღაზიაში და გამომცემლის საკუთარ ბინაზე (ოლგას ქუჩაზე, 52), და **ქუთაისში** მთავრიშვილისა და ოცხელის წიგნის მაღაზიებში და ისიდორე კვიცარიძის კანტორა „იმერეთ“-ში გამომცემელი **კნ. ანასტასია ალექს. ასული მაჩაბლისა**



## ქუთაისი

## პირველი კერძო სამკურნალო

სპეციალისტი ექიმებით.

**მუდმივი საწოლებით თ. ა. რელიგიონის სახლი თეთრ ხიდთან.**

**ავათმყოფებს მიიღებენ ყოველდღე:**

დილით.

პრივატ-დოცენტი ხარკოვის საიმპერატორო უნივერსიტეტის მედიცინის დოკტორი **ვ. პ. მოსეშვილი** შინაგანი და ნერვების.

| | | |
|---|---|---|
| ბ. ა. მირაქოვი—ყელის, ცხვირის, ყურისა. | . . . . . . | 1–2 |
| გ. ს. ნადირაძე.—შინაგანი და ბავშის | . . . . . | 10—11 |
| ა. ა. რელიგიონი—დოსტაქარი, ქალთა, საბებიო ყოველ დღე | . | 11–2 |
| მ. დ. ბეთანოვი.—კანის, ათაშანგი, ვენერ. | . . . . . | 12—2 |
| გ. ა. ჭოღოშვილი—საბებ., ქალთა და შინაგ. | . . . . . | 12 1/2 2მ |

სალამოთ.

| | | |
|---|---|---|
| ბ. ლ. ქორქაშვილი—თვალის ხუთშაბათობით | . . . . | 4 1/2–5 1/2 |
| გ. ა. ჭოღოშვილი—საბებიო, ქალთა და შინაგ. | . . . | 5 1/2–6/ |

სამკურნალოსთან მოწყობილია საქ.—საანალიზო კაბინეტი: სისხლის, შარდის, ნახველისა და სხვ. შესამოწმებლათ. ძიძის შემოწმება, ყვავილის აცრა, 606—914 შესხმა კონსულტატიურათ. არის ცალკე ოთახები მძიმე ავათმყოფებისა და მშობიარეთათვის. რჩევა 10 შაური, აპერაცია და კონსულტაცია მორიგებით. საწოლები 3 მანეთიდან და ამაზე მეტათ. ექიმთა მუდმივი მორიგობა. ტელეფონი № 53

**სამკურნალოს დირექტორი—გ. ა. ჭოღოშვილი**



ექიმის ივ. ბოკერიას

## საავათმყოფო

გადავიდა ახალ ბინაზე წითელ ხიდთან, მიხეილის ქუჩაზე, კლუბის პირდაპირ. დასაწოლ ავათმყოფებს ღებულობენ ყოველ დროს.



## მუშაობს

### ხრესილის მადნეული წყლის

ძმ. ყორყოლაძეების

## სამკურნალო აბანო.

აბანო მდებარეობს მაღლობ ბუნებით შემკულ მთის ჰაერზე და, როგორც ნამდვილ გამოირკვა, კურნავს მრავალ სხვადასხვაგვარ ავათმყოფობას; **ქარებს (რევმატიზმს)** სხვადასხვაგვარ **მუწუკს, საყმაწვილოებს, ნერვების სისუსტეს, ჩაყოლილ ციებას** (მალარეიას) **კუჭის ტკივილს, ვენერიულ ავათმყოფობას, ეგზემას, სისივნეს** და სხვა. წყალი მიიღება ცივი და თფილიც. ხრესილში იმყოფება მუდმივი **ექიმი**, სადაც მსურველს შეუძლია მიმართოს დარიგებისათვის, არის სუფთა საკუთარი ვანები, სუფთა ბინა, და სასმელ საჭმელი. ფასები ყოველივეზე ძლიერ ზომიერია. **აბანო** მდებარეობს **სადგურ „სერნია ვოდში“ ხრესილში** სტანციაა მატარებლის გასაჩერებლათ. სადგურიდან 150 საჟენია აბანომდი. ქუთაისის სადგურზე მოითხოვეთ ბილეთები სადგურ ხრესილის „სტანცია სერნია ვოდის“



## თუთხმეტ მაისიდან გაიხსნა

კურსების მადნეული წყლის

## აბანო,

რომელიც იმყოფება გელათის სადგურის მახლობლათ, სადაც პლატფორმაა არჯავანიძის მატარებლების გასაჩერებლათ. პლატფორმიდან ას ორმოცდა ათი საჟენია აბანომდი. ქუთაისიდან მოითხოვეთ ბილეთი არჯავანიძესთან. ბილეთი პლატფორმამდი მესამე კლასის 23 კაპ. და მეორეში 7 შაური ღირს.

ზემოხსენებული **კ უ რ ს ე ბ ი ს ა ბ ა ნ ო** იმყოფება მშვენიერ ბუნებით შემკულ მაღალ ადგილზე, და როგორც ნამდვილ გამოკვლეულია კურნავს მრავალს სხვადასხვა ავათმყოფობას, როგორც მაგ., ქარებს (რევმატიზმის), ტანზე დაყრილ მუწუკებს, ნერვების სისუსტეს, ბავშების საყმაწვილოს, გიმაროი,—სიყვითლეს და ვენერიულ ავათმყოფობას. აგრეთვე რგებს სასმელათ კუჭის ტკივილს. წყალი მიიღება ცივი და თფილიც. არის სუფთა მოწყობილი ვანები, მასთან სუფთა საცხოვრებელი ოთახები და სასმელ-საჭმელი ძრიელ ზომიერ ფასებში.

პატივისცემით **გ. მ. არჯავანიძე.**



**ექიმმა ი. ჩარექოვმა** შესწყვიტა ავათმყოფების მიღება ექვს აგვისტომდის.

**ექიმი მ. დ. ბეთანოვი** იღებს კანისა, **ვენერიული, და სქესობრივი უძლურებით ავადმყოფთ** დილის 9 12 ს., საღამოს 5—8 ს. აფთიაქის ქუჩა № 24 საკუთ. სახლი.

**ექიმი ი. ა. ცეხანოვსკი** გადავიდა ძველი ბინიდან ივანოვის ქ., შავი ქვის საბჭოს ზევით. ღებულობს ვენერიულ, საშარდე, სიფილისიან და სხვა სასქესო ავათმყოფებს. მიიღება ავათმყოფები დილით 10—1 ს., საღ. 5—8 საათ.

ვ. უნივერსიტეტის მედიცინის **ექიმი ვ. ი. კაკიტელაშვილი** საზღვარგარეთიდან დაბრუნდა და განაახლა (შინაგანი, ქალთა და საშარდე სნეულებიანი) ავათმყოფების მიღება. საგარდე მილისა და ბუშტის ელექტრონით შანათება (ცისტოსკოპით) ათაშანგის წამლობა 606—914, განსაკუთრებული ელექტრონის სინათლით სამკურნალო კაბინეტი. ელექტრონის აბაზანები. მიღება დილის 9—12 საათ. და საღ. 5—7 საათ. **მისამართი:** ქარვასლისა და პუშკინის ქუჩის კუთხე, პუშკინის ფოტოგრაფიის პირდაპირ.

ქ. ქუთაისში

კბილის ექიმი

**ს. ა. ცეიტლინი.**

კბილის და პირის ავათმყოფობა. ხელოვნური კბილების გაკეთება. მიიღებს ყოველდღე დილ. 9—2 საათ. და 4—7 საათ. საღ. ბალახვანის ქუჩა. სახაზინო პალატის გვერდით.

ტელეფონი 153.

**დოკტორი** მედიცინისა, პრივატ-დოცენტი **ვ. პ. მოსეშვილი** ჩამოვიდა და ღებულობს შინაგან და ნერვების ავათმყოფებით სნეულებს დილის 8 ს.—12 ს., ნაშუადღევის 5 ს.—8 საათამდი. გოშპიტლის ქუჩა, მოსეშვილის სახლი № 6.

**ექიმი ა. მ. ახათიანი** ღებულობს ავათმყოფებს. **ქალის, ვენერიული** (სიფილისი) და შინაგანის. საშარდე ბუშტის გაშინჯვა ელექტრონის შემწეობით (ცისტოსკოპით).

**ექიმი კ. ტყეშელაშვილი** ღებულობს ავათმყოფს (ვენერიული, კანის, დ სიფილისისა) იკვლევს **გასსერმანის მეთოდით სისხლს.** დილით 9—1, საღამოთი 6—8 ვიტუშინსკის სახლი, რიონის პირათ პუშკინის ქუჩიდან შესახვევი.





## ვაჭარ-მრეწველთა მომავალი კავშირი.

(გაგრძელება. იხილე „იმერეთი“ 105-ე №).

თუ რა დიადი მნიშვნელობა, რა გადამწყვეტი როლი აკუთნა ისტორიამ მოქალაქეთა წრეს, ამას დასავლეთის ისტორია გვიჩვენებს: როდესაც მოქალაქეთა წრე ჯერ განუვითარებელი და უძლური იყო, გონებისა და აზროვნების სივიწროვე, მისი ვიწრო ფარგლიანობა კანონი იყო 12—13 საუკუნეებისათვის; კარჩაკეტილობა, ინტერესებით ერთი პაწაწა კანტონის საზღვრებათ შეფარგვლა, მთელი ერისა თუ ხალხის პატარა პოლიტიკურ ფორმებათ დაქუცმაცება, სიბნელე ყველაფერში: კულტურის წინ წაწევაში, აზროვნებაში, მიმოსვლაში, განუვითარებლობა (შედარებითი) ენისა და მწერლობისა—აი დამახასიათებელი თვისებანი განახლების წინა ხანისა ინგლისში, საფრანგეთში და სხვ. შეადარეთ მაშინდელ ინგლისს, მე-17—18 საუკ. ინგლისი: ცხოვრების სისწრაფე, აჩქარება განვითარების ყველა დარგში ისეთია, რომ შედარებაც კი სჭირს! ახლანდელი ინგლისი ხომ წამობით ცხოვრობს. მთელი კულტურა—ცივილიზაცია წამობით იცვლება, ვითარდება. ეს სულ ბუნების ძალთა ექსპლოატაციის მქონე წრის საქმეა, იმ წრისა, რომელიც საზოგადოებისათვის ღებულობს ბუნებიდან ინდიფერენტულ სიმდიდრეს, ქმნის ღირებულებათა განძს და შემდეგ აწვდის ამ განძს საზოგადოებრივ ერთეულს, მის მიერ მოწადინებულ ფორმებში. როგორი იყო ინგლისელ ვაჭარ მრეწველთა უებარი იარაღი მე-12 და მე-16—17 საუკუნეებში უცხოელების წინააღმდეგ, ნამეტნავად კი ფლამანდია-გოლანდიისა და ესპანიის წინააღმდეგ? მაშინ ყველა ხმარებულ იარაღში, უმთავრესი და ჩვენთვისაც ადვილათ ხელმისაწდომი გასახორციელებელი გახლავთ: 1) მჭიდრო ცენტრალიზაცია ვაჭრობა-მრეწველობისა (ინგლისში უმეტესათ მატყლისა, მარცვლეულობისა და სხვ.) შიგნით, აგრეწოდებულ stadlers-ების (ვაჭრების) კავშირი, და 2) სრული იზოლიაცია უცხოელთა ინგლისურ ბაზრისაგან. ყოველ ნაწარმოებს ინგლისის სხვადასხვა კუთხეში ყიდულობდა მხოლოდ ინგლისელი სტაპლერი (stadler), ე. ი. ვაჭარი, რომელიც იყო დიდი კავშირის წევრი, ნაყიდი ნაწარმოები მოქონდა ინგლისის საზღვრებზე ნავსადგურში, ან მეზობელ საფრანგეთის სავაჭრო ქალაქებში დედოფალ ელისაბედის დროს მაგ. ჰავრში; კალეში კი (calis) მთელი ორი საუკუნის განმავლობაში ბძანებლობდენ ინგლისელი ვაჭრები და იქ ასაღებდენ უცხოელებზე თავის ქვეყნის ნაწარმოებს, უცხოელი კი იძულებული იყო თავის საქონელი ინგლისის გემებზე მიეტანა ინგლისის საზღვრებამდი და იქვე გაეყიდა. სტაპლერები არ უშვებდენ უცხოელებს თავის ბაზარზე და თვითონ ყიდულობდენ და შექონდათ შიგ საჭირო საქონელი. ამას გარდა დააარსეს ფლამანდების წინააღმდევ ახალი კავშირი, რომლის შედეგიც იყო სრული მოსპობა ფლამანდიის კონკურენციისა მატყლეულობის დამუშავებაში.—რასაკვირველია, ჩვენ ვერ მივმართავთ ისეთ ხერხს, როგორიც იყო ინგლისელების მხრით, მაგ. merchants advenrturs მთელი საზოგადოება, დაარსებული ვაჭრულ მოგზაურობის მიზნით, რომ შესულიყვნენ და ბაზარი მოეპოვათ გერმანიაში, ბალტიკაში და ჩრდილოეთ ზღვაში, ან და მეკობრეების საზოგადოება, რომელიც ძარცვავდა და ზიანს აყენებდა უცხოელთა სავაჭრო გემებს—ნამეტნავათ ჰესპანელთა წინააღმდეგ; მაშინდელ რაინდ-მეკობრეების სახელი მაგ. დრეკ და რალეი ახლაც არის ხალხის მეხსიერებაში, მაგრამ სამაგიეროთ ჩვენ ხელთაა ვისარგებლოთ ინგლისელებისა და ჰოლანდიელების (ჰესპანიის წინააღმდეგ) მაგალითებით, რამდენათაც ეს შესაძლო იქნება ჩვენთვის. ქართველ ვაჭარ მრეწველთა კავშირის მიზანი იქნება ოთხნაირი: 1) საქართველოს ყველა კუთხეში და სოფელში სყიდვა ქართველთა ნაწარმოებისა ქართველ ვაჭართავე მიერ, ამასავე უნდა ეკუთნოდეს შუამავლობა მწარმოებლისა და მომხმარებლის შუა; 2) სხვადასხვა ადგილში შეყიდულ ნედლ მასალათა გადამუშავება საბოლოოთ მოსახმარ ნაწარმოებათ თვით ქართველ მრეწველთა მიერ; 3) ქართველ მრეწველთა ნაწარმოების გატანა პირდაპირ ქართველთავე მიერ მსოფლიო ბაზარზე და 4) უცხოეთიდან ნედლ მასალათა შეძენა პირდაპირ უცხოელ მწარმოებელთაგან ქართველ ვაჭართა მიერ. ეს კავშირი უნდა იყოს რაც შეიძლება ფართო ხასიათისა, რომ ვაჭრობა-მრეწველობის ყველა დარგი შედიოდეს შიგ, რის მიხედვითაც კავშირი დაიყოფება განყოფილებებათ; ეს განყოფილებანი იქნებიან შემადგენელი ერთეული სავაჭრო-სამრეწველო ბიუროს კავშირისა, რომელიც იქნება, ასე ვთქვათ, კოლეიდესკოპი მთელი საქართველოს ეკონომიური ურთიერთობისა

მაგ., რომელიმე დარგის ვაჭართ სურთ შეიძინონ მიჩნეული საქონელი უცხოეთიდან. ისინი აცხადებენ თავის სურვილს კავშირის სათანადო დარგის გამგეობაში რა საქონელი სურთ, რამდენი, როდისათვის. გამგეობა სარგებლობს მასიური მოთხოვნილებით და არჩევს უცხოელ ფირმებში, რაც შეიძლება საუკეთესოს და რაც შეიძლება ხელსაყრელ პირობებში. ეს უადვილდება გამგეობას მასიურ მოთხოვნათა თვისებების გამო: ერთბაშათ დიდძალი საქონლის გასაღება, რეგულიარული და ხანგრძლივი ვაჭრული დამოკიდებულება ერთერთ ფირმასთან, ამ უკანასკნელის შეჩვევა გამსაღებლის გემოვნებასთან ხელს უწყობს იმ გარემოებას, რომ კავშირმა საჭირო საქონელი ბევრათ უფრო ხელსაყრელ პირობებში შეიძინოს, ვიდრე, რომელიმე კერძო ვაჭარმა. ახლა ავიღოთ, რომ ვაჭართ სურთ შეძენა საქონლისა თვით ქართველ მწარმოებელთა მიერ და აცხადებენ სურვილს სათანადო გამგეობაში. უკანასკნელი მიმართავს წერილობით, თუ აგენტების საშუალებით მიჩნეულ მწარმოებელთ. ესინი-კი უპირატესობას სწორეთ კავშირს აკუთნებენ, ზემომოყვანილ მიზეზთა გამო, რადგან იქ მოთხოვნილება მასიურია. მწარმოებლისათვის ეს სასარგებლოა კიდევ იმიტომ, რომ ის ამგვარათ ცილდება ჩარჩებთა უმგვანო ხრიკებს. პირველ წლებს შემდეგ, როდესაც კავშირი საზოგადოთ ცნობილი შეიქნება, მას აღარ დასჭირდება მუშებისა თუ გამყიდველების ძებნა, პირიქით, ის გადიქცევა ხელის დაცლის მსურველთა ბირჟათ.

Titus.

(შემდეგი იქნება).

## ქართული ენის მდგომარეობა ჩვენ სკოლასა და მწერლობაში.

(წერილი მეოთხე *)

მესამე წერილში დანაპირების ასრულებას ახლა უნდა შევუდგე, თუმცა მეტად ძნელია საჯაროდ ისეთ ცოდვებზე ლაპარაკი, როგორზეც აქ მიხდება საუბარი. დიდი სიამოვნებით მივატოვებდი, მაგრამ როდემდი? არა, აქ მოცდა ცოდვა იქნებოდა და ამიტომ სათქმელი უნდა ითქვას.

ის მომაკვდინებელი ცოდვები, რომელზეც აქ უნდა ველაპარაკო პატივცემულ მკითხველს, უნდა ავხსნათ ორი მიზეზით: უვიცობითა და უდისციპლინობით. ჩვენს მწერალს, თუ მასწავლებელს შეცდომა ენაში მოსდის ან იმიტომ, რომ კარგად ვერ შეუგნია ენა, საკმაოდ ვერ უფიქრია მაზე და ვერ მორევია მისს სიძნელესა, ან იმისს გამო, რომ მისი ხელი და აზრი არაა მიჩვეული წესიერობას, დისციპლინას, ერთგვარი სკოლა ვერ გაუვლია და თვითონაც არ იცის, როგორ და რატომ სცდება იქაც კი, როცა ეს შეცდომა ადვილი ასაშორებელია, თუ ენის ელემენტარული გრამატიკა მაინც შეგითვისებია. ეს შენიშვნა ფრიად საჭიროა ქვევით სათქმელისათვის და მისი ახსნისათვის. უნდა ვიცოდეთ რით აიხსნება ესა, თუ ის შეცდომა ენაში.

მე მინდოდა მაგალითები შორიდან დამეწყო, მაგრამ ერთმა გარემოებამ ეს გეგმა შემაშლევინა და ზევით მოყვანილი შენიშვნა დამაწერინა.

ამ დღეებში გაზ. „სახალხო ფურცელში“ (იხ. № 29) ბ-მა შ. ბერიძემ ამავე საკითხს ფრიად საყურადღებო წერილი უძღვნა და, სხვათა შორის, ასეთი აზრი გამოსთქვა: მკითხველმა იცის, თუ როგორ დაავათმყოფებულია დღეს ჩვენი ენა, სად არის ცეცხლისმფრქვეველი, მოვარაყებული ლექსი რუსთველისა და მკაფიო, დაბროლებული პროზა თმოგველისა, რომელსაც შოთა „ენა-დაუშრობელს“ უწოდებს...

... დრო დამყარდეს ჩვენი ენის სიმტკიცე და ბოლო მოეღოს იმ გაუგებრობა — თვითნებობას, რომელიც მეფობს დღეს ქ. მწერლობაში თქვენს თვალწინ, ჩვენს დროში, მე-20-ე (?) საუკუნეში. საჭიროა სიჩქარე, რადგანაც, როგორც ყოველივე წუთი აგონიისა აახლოვებს ადამიანის სიკვდილს, ისევე ყოველი დღე აახლოებს ქ. ენის აღსრულებას“.

ხომ ხედავთ, როგორ სტირის ბ. ბერიძე ქ. ენის „წახდენისათვის“, მისი „აღსრულებისათვის“? დასამტკიცებლად ამ „წახდენისა“ და „აღსრულების“ მოახლოებისა ბ. ბერიძე იქვე მოგვაწვდის მრავალ მაგალითს ჩვენი თანამედროვე ენიდან.

მაგრამ იმავე „უდისციპლინობის“ წყალობით, რომელზეც მე მოგახსენეთ ზევით, თვითვე ვარდება ურიცხვ შეცდომებში, მართლწერის მხრით. რატომ მოხდება ეს სასაცილო მოვლენა, თუ მართლა ცოტა რამე დისციპლინისა ეცხოს ჩვენს აზროვნებას, ჩვენს კალამს, ან რომ ცოდნა ენისა არ გვაკლდეს?!

კაცი გულწრფელად დასტირის მშობლიური ენის წახდენას, აღსრულებას“, „აგონიას“ და ამავე დროს თვითონვე ხელს უწყობს იმავე „წახდენას“, „აღსრულებას“, „აგონიას“! დიაღ, ყველანი ასე ვართ, არც ვიცით და არც შევჩვევივართ მართლწერას, თუმცა იმავე დროს კარგად ვგრძნობთ, ზოგიერთნი მაინცა, თუ რა უბედურობა მოელის ჩვენს ენას. თვით მე, ამ სტრიქონების მწერელი, თქვენი უმორჩილესი მონა რომ ვსწერ ამ შენიშვნებს, განა იმიტომ ვსწერ, რომ მე კი ვიცი ქართული, ან იმიტომ, რომ არ შევცდები?! სრულიადაც არა! მეც სხვაზე ნაკლები ცოდვა არ მიმძღვის ქართულის წინაშე და რატომ? იმავე უდისციპლინობით, იმავე დაუდევრობით და უეჭველად, ზოგან ცოდნის სისუსტითაც.

ბ. ბერიძე, მაგალითად, თავისს შენიშვნებს იწყებს მომაკვდინებელი შეცდომით ქართულში. ის სწერს: „ყოველივე ქართველს“ (წერილის პირველი სიტყვებია). ვინ იტყვის, რომ ბ. ბერიძემ არ იცის, რა შეცდომაა აქ, მაგრამ არ დაფიქრებულა, მეხანიკურად მოუსვამს კალამი, იმავე უუდისციპლინობისა გამო და გამოკიდა დიდი ცოდვა: სახელობითი ბრუნვა („რომელიმე“) შეუთანხმა მიცემითს („ქართველს“), რაც ყოვლად შეუძლებელია, რადგან განმსაზღვრელი სიტყვა (опредѣлительное) უნდა იმავე ბრუნვაში იყოს, რომელშიც არის განსაზღვრული სიტყვა. უნდა ეთქვა: „რომელსამე ქართველს და არა „რომელიმე ქართველს. ეს რომ უდისციპლინობის ბრალია და არა უვიცობის, აი ამისი უტყუარი საბუთიც: იმავე წერილში ბ. ბერიძე სწერს: „ხალხი მათ, როგორც ყოველსავე ახალს... ხარბად დაეწაფა“. ერთი და იგივე ფორმა და კანონია, მაგრამ აქ სწორა იხმარა ბრუნვები, მიცემითს მიცემითივე შეუთანხმა და პირველად კი შესცდა სასტიკათ. და ყველა ასე არ ვსცდებით! ჩვენ ყველანი მანასე ვართ და კიდევაც ვლაპარაკობთ და ვსწერთ ხან ისე და ხან ასე, როგორც მოუვა ჩვენს უპატრონოთ გაშვებულს ხელსა და კალამს!

რომ სიტყვა ძლიერ არ გაგვიგრძელდეს, სხვა შეცდომებს (თუმცა არა ყველას) მოკლედ შევეხებით. ბ. ბერიძე სწერს:

„საჭიროა... კონსილიუმი უტყუარის ცოდნა-გამოცდილებით (?) შეიარაღებულის (?) მკურნალთა“, უნდა კი ეთქვა: ცოდნა-გამოცდილებით შეიარაღებული(თა) მკურნალთა. „ჩვენის აზრით“, უნდა იყოს ჩვენი აზრით; „ნამდვილის რუსულის კილოთი“ — უ. ი. ნამდვილი რუსული კილოთი; „ვხელმძღვანელობდი ვ.-ტყაოსანს“ (და არა შემოღებული ვ. ტყაოსნითო!) ბრძანებს ბ. ბერიძე. რაღა თქმა უნდა, რომ სცდება. უნდა იყოს ასე, როგორც ვხმარობთ: ვხელმძღვანელობდი ვ.-ტყაოსნით. და არა როგორც ბ. ბერიძე გვირჩევს და აი რატომ: ვხელმძღვანელობდი ვეფხის ტყაოსანს (ბერიძის ფორმა) ნიშნავს იმას, რომ მე ვ.-ტყაოსანს ვუძღვი წინ, ე. ი. სრულიად უკუღმა გადატრიალდა აზრი, ვ.-ტყაოსნით ვხელმძღვანელობდი კი იმას ნიშნავს, რომ სახელმძღვანელოდ მე მქონდა ვ. ტყაოსანი“ — და სწორედ ამის თქმაც მინდოდა. Я руководился книгою — ერთია და я руководилъ книгу სულ სხვაა! აი ეს შეცდომა ბ. ბერიძისა მხოლოდ გაუგებრობით უნდა აიხსნას.

ქვევით, ბ. ბერიძე ამბობს, ჩემი მასწავლებელი ბ. პ. მ—ლი გვირჩევდა „უყურადღებლობა“ უნდა და არა „ყურადღებობა“-ო და მეც ასე მომწონსო. მაპატიონ მასწავლებელმაც და მოწაფემაც, რომ ორივენი სცდებიან: ფონეტიკური შემადგენლობით ორივე სწორი თქმაა, მაგრამ მიღებული მეორე უფროა და რატომ ასე არ უნდა დარჩეს, თუ რომ ეს უფრო ეადვილება ხალხს და არც ენის ბუნებას ეწინააღმდეგება?!

„სიტყვა: „ხდენა“, ვახდენ, ახდენ, ახდენს ნიშნავს გაფუჭებას, წახდენას“ ბრძანებს ბ. ბერიძე, მაგრამ გვიბრძანოს ნუთუ ესეც წახდენას ნიშნავს: მოუხდა წამალი, ტან-ფეხი, უხდება ულვაშები, მოხდენილი მხარ-ბეჭი, მოხდენილი სიტყვა?! ჩანს, ხდენა ყოველთვის წახდენას არ ნიშნავს. ამიტომ ბ. ბერიძის რჩევით, თქმას: „შთაბეჭდილებას სტოვებს“ ვერ მივიღებთ და ვერ დავაკანონებთ, სანამ კარგათ არ გამოირკვევა ბუნება სიტყვისა: „ხდენა“. ამ სიტყვას ბევრნაირი მნიშვნელობა აქვს: შთაბეჭდილებას ახდენს — производитъ впечатлѣніе, შთაბეჭდილებას ახდენს — портитъ впечатлѣніе. დიდი მნიშვნელობა აქვს აქ პრეფიქსებს: მოუხდა — идетъ ему, წაუხდა — მას გაუფუჭდა, მიუხდა - თავს დაეცა. აგრეთვე საჭიროა გამოირკვეს რა ადგილი უჭირავს ამ სიტყვაში ბგერებს: დ — და თ — ს. შეიძლება ამ ბგერათა არევ-დარევა იწვევს სიტყვის აზრის არევასაც.

ბ. ბერიძე ბრძანებს: „უაზრობაა გამოთქმა: გზა-კვალი აურიეს შაჰს“... უნდა იყოს უსათუოდ გზათა კვალი“-ო. სცდება ბ. ბერიძე და ვაი თუ ამ შეცდომაში წილი იმავე მოძღვარს „ბ. პ. მ—ლს — უდევს! ქვევით გიჩვენებთ იმის უტყუარ საბუთებს, რომ ბევრი მასწავლებელი ქართული ენისა ჭკუას ძალას ატანს და ბავშებს მართლა რომ გზა-კვალს უბნევს! რატომ დასჭირდა ბ. ბერიძეს გზა-კვალის ნაცვლად გზათა-კვალი? ის გვირჩევს: ღრმად ჩაუკვირდით ამ ორ სხვადასხვა ფორმის შინაარსს და თქვენ იგრძნობთ პირველის სიყალბეს, ხოლო მეორის სისწორეს“ ო.

ძლიერ ვსწუხვარ, რომ „ღრმად ჩავაკვირდი“ და ვერაფერი ამის მზგავსი ვერ ვიგრძენი. ვიგრძენი მხოლოდ ის, რომ გზა-კვალი აურია კარგია და გზათა-კვალი აურია ცუდია. გზა-კვალი აურია ნიშნავს იმას, რომ გაჭირვებაში კაცს აერია, დაეკარგა გზაც და კვალიც (слѣдъ), რომ ველარც გზას მიაგნო და ველარც ნაკვალევს, ნაფეხურს. რა არის აქ ყალბი?!

გზათა-კვალის არევა რაღას გვეუბნება ამაზე „უსწორესს“? არაფერს სრულიად! უფრო უაზრობა გამოდის, ვინემ სისწორე! გამოდის, რომ გზები ისე გაჰქრა, რომ კვალი, ნაკვლევი, ნაფეხური არსად დატოვა! აბა რა აზრია აქ, მიბრძანეთ! სხვა შემდეგ წერილში.

მ. ჯერაძე.

*) ის. „იმერეთი“ №№. 51,78 და 89.

## ომის ამბები

ამ დღეებში დიდი განსაცდელი მოელის მთელ ევროპას [illegible] შესაძლებელია ავსტრო უნგრეთმა ომი აუტეხოს სერბიას და ეს ომი კი ჩაითრევს ყველა ცნობილ სახელმწიფოებს.

10 ივლისს, საღამოს 6 საათზე, ავსტრიამ გამოუცხადა სერბიას ულტიმატუმი, რომელიც შესდგება რამდენიმე მუხლისაგან. პასუხი მოსთხოვა 48 საათში. ულტიმატუმი იმ ხასიათისაა, რომ შეურაცხყოფს სერბიას, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოს. ავსტრია მოითხოვს სერბიამ ოფიციალურათ დაჰგმოს და მოსპოს დიდი სერბიის შექმნის შესახებ პროპაგანდა, დახუროს ამ აზრით და არსებული საზოგადოება, გ მოსტოვოს სკოლის პროგრამიდან ყველაფერი ის, რაც მიმართულია ავსტრო-უნგრეთის წინააღმდეგ, დასაჯოს ის სერბიელი ოფიცრები და მოხელეები, რომელთაც უჩვენებს ავსტრია, ნება მიეცეს ავსტრიის ორგანოებს სერბიელებთან ერთად მიიღონ ზომები რევოლიუციონურ მოძრაობის მოსასპობათ სერბიაში ავსტრიის წინააღმდეგ, დასაჯოს ის სერბიელი მოხელენი, რომელნიც ავსტრიის გამოძიებით ერცჰერცოგ ფრანც-ფერდინანდის მოკვლაში ერიენ. ამ ულტიმატუმმა სიხარული გამოიწვია გერმანიაში. რუსეთმა განაცხადა, „ფხიზლათ ვადევნებ თვალყურს ავსტრიისა და სერბიის განწეთქილების განვითარებას, რომლისადმი არ შემიძლია დავრჩე გულგრილადო“.

— სერბიის მთავარ მინისტრმა პაშიჩმა წარუდგინა ულტიმატუმის პასუხი ავსტრიის დესპანს ბელგრადში. ავსტრიის მთავრობამ ეს პასუხი არ შეიწყნარა. დესპანმა თავის ამალით დასტოვა ბელგრადი. სერბიამ მობილიზაცია მოახდინა თავის არმიისა. სერბიის მთავრობა ბელგრადიდან გადადის კრაგუევაცში.

## ქუთაისი.

### ახალი ამბავი.

ამ დღეებში ქუთაისის გუბერნიის სახალხო სასწავლებლების დირეკტორი ბ-ნი ვიშნევსკი ქალ. პიატიგორსკს გაემგზავრა ორი კვირის ვადით სხვადასხვა საქმისთვის.

✦ 30 ივლისს ქუთაისის სახელმწიფო ადგილისა და ქონებათა სამართველოში საჯაროთ იჯარით გაიცემა მოწამეთის აგარაკზე მდებარე ქვის სატეხი ადგილი „სატურიასი“. ქვის სატეხი ადგილი ორნაწილათ გაიცემა. თითო 9 წლის ვადით ორას-ორას მანეთად. მოიჯარადრემ წინდაწინ უნდა წარადგინოს ათი პროცენტი.

## საფრანგეთის იაკობინელები და ჩვენი სოციალ-დემოკრატები.

(იხ. „იმერეთი“ №-104.)

აღსანიშნავია კიდევ ერთი დიდი მსგავსება: ცენტრალისტური პარტიული ორგანიზაცია და ცენტრალისტური პოლიტიკური იდეალი.

ზევით დავინახეთ, რომ საფრანგეთის ცენტრალისტური დემოკრატიულ-რესპუბლიკური წესწყობილება, ე. ი. ერთიანი და განუყოფელი რესპუბლიკა, შექმნა სამხედრო განსაცდელმა. იმავე დროს ცენტრალისტური იდეალი საფრანგეთის ისტორიის, ე. ი. ტრადიციის, შედეგიც იყო.

ამ იდეალს სავსებით შეეფერებოდა მთავრობის ორგანიზაცია. კონვენტი თავისი კომიტეტებით და პარიზის კომმუნა მთელი საფრანგეთის ბატონ-პატრონნი შეიქნენ.

პროვინციული კომმუნები პირველად თავისთავად დაემორჩილენ პარიზის მთავრობის დირეკტივებს, მის მიერ გამოგზავნილ კონვენტის ემისსარებს. ცენტრალიზაცია თავისთავად, თითქმის სტიქიურად დამყარდა, რადგან სამხედრო განსაცდელის დროს ხალხი ინსტიკტიურად გრძნობდა ერთობის საჭიროებას.

მაგრამ ის, რაც დროებით იყო საჭირო გარეშე და შინაური მტრებისაგან მოსაგერებლად, არ გამოდგა, როგორც მუდმივი წესწყობილება. სადავე, რომელიც ცენტრალისტურ მთავრობას ხელში ეჭირა, არ შეასუსტეს. ამან გამოიწვია პროტესტი დეპარტამენტებისა, ჟირონდისტული აჯანყება პროვინციათა, შემდეგ ამ აჯანყებათა ჩაქრობა, ქალაქთა განადგურება, შინაური განხეთქილების გამწვავება, რევოლიუციონური სასამართლოებისა და კომიტეტების სისასტიკენი, პრესსის გაჩუმება, მოპოვებულ თავისუფლებათა უარყოფა და ბოლოს საყოველთაო უკმაყოფილება, რევოლიუციონერების ერთმანეთის მიერ შეჭმა და თვით რევოლიუციის წალეკვა რეაქციისაგან.

მაშასადამე, ცენტრალიზაციამ შვა პოლიტიკური ძალა, რომელსაც ცენტრალიზაციამვე მოუღო ბოლო.

საფრანგეთში რომ ისეთი ავტონომიურ-ფედერალისტური წესწყობილება დამყარებულიყო, როგორიც იყო ჩრდილოამერიკის შეერთებულ შტატებში, რეაქცია ვერ გაიმარჯვებდა.

ცენტრალისტურ რესპუბლიკაში, რომელიც წარმოშვა რესპუბლიკამ, პარიზი წარმოადგენდა ამ სახელმწიფოს თავსა და საფრანგეთი ტანს. და, როდესაც რეაქციამ ამ ორგანიზმს თავი მოჰკვეთა, ე. ი. პარიზის რევოლიუციონური მთავრობა დაამარცხა, მთელი საფრანგეთი, ე. ი. ტანი ამ ორგანიზმისა, უცებ მოკვდა პოლიტიკური სიკვდილით.

და, ცხადია, საფრანგეთს, როგორც პოლიტიკურ ორგანიზმს, რომ ბევრი თავი ჰქონოდა, ე. ი. ავტონომიების ფედერატიული კავშირი რომ დაეწესებია, რეაქცია ვერაფერს დააკლებდა, რადგან, ჯერ ერთი, ყველა ავტონომიაში არ ექნებოდა ადგილი იაკობინურ ტაკტიკასა, ესე იგი ერთი პარტიის ბატონობასა და მის მიერ ხალხის ჩაგვრასა, და, მაშასადამე, ყველგან არ ექნებოდა ნიადაგი რეაქციის ზრდასა და გაძლიერებასა და, მეორე, რეაქციას თითეულ ავტონომიასთან ცალ-ცალკე მოუხდებოდა ბრძოლა. ამ პირობაში კი შეუძლებელი იქნებოდა მისი გამარჯვება, რადგან რეაქციის საწინააღმდეგო ძალები ერთად შეკრებასა და შეკავშირებას მოასწრებდენ.

მაშ ერთერთი მიზეზი რევოლიუციის დამარცხებისა და რეაქციის გამარჯვებისა იყო — ის ცენტრალისტური მართვაგამგეობა, უკეთ ვთქვათ, ერთიანი, უნიტარული რესპუბლიკა, რომელიც საფრანგეთის რევოლიუციონერებს, მონტანიარებსა და, ასე გაშინჯეთ, ჟირონდისტებსაც კი, (რადგან არც ჟირონდისტების „ფედერაცია“ იქნებოდა ნამდვილი ფედერაცია) საფრანგეთის მხსნელად მიაჩნდათ.

რუსეთის სოციალდემოკრატიის სახელმწიფოებრივი იდეალი უკიდურესად ცენტრალისტურ-იმპერიალისტურია. ეს რუსეთის ისტორიული ტრადიციის შედეგია.

მაგრამ საკვირველი ის არის, ქართველი სოციალდემოკრატებიც რომ ამგვარსავე ცენტრალიზაციას აღიარებენ: მათ უარყვეს თავისი ერის ავტონომია და ისე გაითქვიფენ რუსეთის სოციალდემოკრატიაში, რომ ვერც კი გაბედეს, თავისთვის „ქართველი სოციალდემოკრაცია“ ეწოდებიათ.

იმ დღიდან, მათ რომ თავისი ერის ისტორიული უფლება უარყვეს, არ შემწყდარა კამათი მათთან ამის გამო, მაგრამ არ იქნა და არა: არ გატყდენ და პირიქით ჰკიცხავენ ეროვნულ დემოკრატებს, ავტონომიას რატომ აღიარებთო.

სიტყვას „ავტონომიას“ სახელი გაუტეხეს, როგორც ერთ დროს „რესპუბლიკას“ რობესპიერმა. ავტონომია ბატონყმობას, თავად-აზნაურობის ბატონობას, შავრაზმელობას, ვიწრო ნაციონალიზმსა და სხ. ნიშნავსო, ჰქადაგებდენ.

საუბედუროდ, ბევრი უჯეროდა მათ და დიდი ხანი გაივლის, ვიდრე სიტყვები „ავტონომია“ და „მამულიშვილი“ ხალხის თვალში თავის ნამდვილ მნიშვნელობასა და შესაფერ პატივისცემას მოიპოვებდენ.

ეს უდიდესი დანაშაულობაა სოციალდემოკრატიისა ქართველი ერის წინაშე.

ამ უკანასკნელ დროს, მართალია, სოციალდემოკრატიული ლიტერატურის ერთს ნაწილში თავი იჩინა ავტონომისტურმა მიმართულებამ. მაგრამ ეს პარტია იმდენად გაჟღენთილია იაკობინური სულით, რომ შეუძლებელია უარყოს ძველი ავტორიტეტები. ამიტომ, ვფიქრობ, მანამდის არ აღიარებს ავტონომიას, ვიდრე ერთი თაობა მაინც არ გადავა.

განვიხილოთ კიდევ ერთი დამახასიათებელი თვისება სოციალდემოკრატიისა: ფანატიკური რწმენა, რომ მალე დამყარდება სოციალიზმი. სოციალიზმი — ეს საზოგადო წარმოებასა და სიმდიდრის თანასწორ განაწილებას ნიშნავს. მთელი ქვეყნის ერთ საკუთრებად, მთელი ერის ერთს საწარმოო ორგანიზაციად გარდაქმნა კი წარმოშობს უკიდურეს სახელმწიფოებრივ უფლებასა და უსასტიკეს საწარმოო დისციპლინას. თუ კი წარმოება საერთო პლანზე იქნება მოწესრიგებული. თითეული წევრი საზოგადოებისა ამ საერთო პლანს ძალაუნებურად უნდა დაემორჩილოს. მოისპობა პირადი ინიციატივა და თავისუფლება და შეჩერდება იმავე დროს კაცობრიობის პროგრესსიც.

მარქსისტებს ჰგონიათ, ვითომ მარქსმა კაპიტალისტური წესწყობილების კრიტიკით სოციალიზმის განხორციელების აუცილებლობა დაამტკიცა. შემცდარი აზრია. მარქსის ანალიტიური ნესტარი დიდათ კარგადა სჭრის, მან მშვენივრად დაასურათა კაპიტალისტური წესწყობილება, მაგრამ მისი ანალიზიდან სრულიადაც არ გამომდინარეობს მის მიერ აღსარებული სახელმწიფოებრივი სოციალიზმი. და ეს იდეალი მისთვისაც კი უბრალო დოგმატიურ რწმენას წარმოადგენდა და არა მეცნიერული კრიტიკისა და შემოქმედების ნაყოფს.

ერთი სიტყვით, სოციალდემოკრატებს ისე ბრმად და დოგმატიურად სწამსთ სოციალიზმი, როგორც მაჰმადიანებს სამოთხე. და ეს დოგმა ხელს უშლის მათ, საღი თვალით უყურონ ერის დანარჩენს, არასოციალისტურ ნაწილს. მათთვის მთელი ერი ორ მტრულ ბანაკათ არის გაყოფილი: სოციალისტებად და არა-სოციალისტებად. მათ შორის საერთოს ვერაფერსა ხედვენ და მხოლოდ მტრობას ჰქადაგებენ. ისინი ისე უყურებენ არასოციალისტებს, როგორც მაჰმადიანები ქრისტიანებს, „გიაურებს“, ე. ი. ეჭვითა და უნდობლობით, და სწამსთ, რომ ყოველი არა-სოციალისტი — რეაქციონერი, შავრაზმელი და „პოგრომჩიკია“. ერთი სიტყვით, ისინი — იაკობინელებზე უფრო იაკობინელები არიან.

არც ჩვენა გვწამს კერძო საკუთრების ღვთისგანხსნილი თავაშვებულობა და ვფიქრობთ, საჭიროა ლატიფუნდიების, დიდი მამულების დანაწილება პატარა ნაჭრებად და დარიგება წვრილ მესაკუთრეთა-

✦ დ. სურამში ბევრი მოაგარაკეები ყოფილან. სანოვაგე და სახლები ძალზე გაძვირებულია.

✦ ამ დღეებში დეპუტატთა საკრებულო ახალ ბინაზე გადადის ვლ. წერეთლის ახალ სახლში თფილისის ქუჩაზე.

✦ ქალაქის საავათმყოფოში ამჟამათ 41 ავათმყოფი იმყოფება.

✦ რედაქციამ მიიღო შიო არაგვისპირელის მეხუთე წიგნი. წიგნის შინაარსია: გიული, „ბალღი ყოფილხარ“, (ეტიუდი) დიდი დედა მარიამი და ხატურო და ანტონ ზურაბოვი. წიგნი სუფთად არის გამოცემული შეიცავს 247 გვერდს და 10 შაურათ ღირს.

✦ მგოსან გელამ (გელაზანიამ) დასწერა ახალი ორიგინალური პოემა „უდაბნოში‘‘.

✦ 14 ივლისს მომრიგებელმა მოსამართლემ 3 თვით ციხე მიუსაჯა ჯარი ოდლის ნაპარევი ნივთების ყიდვისთვის, და 5 მანეთით დააჯარიმა ლუკა კიკვაძე, ვაჭრობის წესის დარღვევისათვის.

✦ როგორც ქ. გორიდან გვწერენ 9 ივლისს სასაფლაოს ქუჩაზე უპოვნიათ ახლათდაბადებული მამრობითი ბავშის გვამი. ის ყელგამოჭრილი ყოფილა. ვინ ჩაიდინა ასეთი საზიზღროება ამის შესახებ გამოძიება სწარმოებს.

✦ 13 ივლისს სად. ლაშეზე დაჭერილი ყაჩაღები გუშინ ქუთაისში ჩამოიყვანეს და ციხეში მოათავსეს.

✦ გუშინ თფილისის გაზეთები არ მიგვიღია.

პირველი აგვისტოდან გელათის სადგურზე ფოშტის განყოფილება არსდება.

✦ ჩვენს რედაქციაში შემოვიდა ერთი მოხუცებული მანდილოსანი და განაცხადა: ჩემი მეუღლე სიმონ პავლეს ძე კვიცირაძე ამ ორმოცდა სამი წლის წინად შეუდგა მუდმივ მოძრავ მანქანის გამოგონებას. ამის გულისათვის დიდი შრომა გასწია, დიდძალი ფულიც დახარჯა და სათანადო სამინისტროდანაც მოწმობაც აიღო. ორმოცდა სამი წლის განმავლობა'ში მოამზადა მანქანის თვლები, აზარმაცები (რიჩაგები) ხისა და ლითონის მასალები. ახლა კი სიბერემ უსწრო და მუშაობის თავი აღარა აქვს. მანქანა და მისი მომავალი კი ერთობ საყურადღებოა და რადგანაც არ გვინდა, რომ ჩვენმა ამდენი ხნის შრომამ უნაყოფოდ ჩაიაროს, ამიტომ ვსთხოვთ მსურველთ მობრძანდენ ჩვენთან და სრულიად უსასყიდლოდ ჩაიბარონ ამ მანქანის გეგმა და მასალებიო. მისამართი: ბალახვანის ქუჩა, სახლი ცაგარლისა, № 17.

✦ ჩვენ გვთხოვენ გამოვაცხადოთ, რომ დიდიჯიხაისის სამკითხველოში შესულა ზუგდიდის მაზრის სოფელ ხეთას მცხოვრები, გერესიმე ლატარია და გაუცხადებია: 7 ივლისს ღამის მატარებლით მას მიყავდა ქუთაისის საავათმყოფოში, სულით ავათმყოფი, მისავე სოფლის მცხოვრები სილოვან კუკავა. სადგურ კოპიტნარში მატარებლის გაჩერების დროს გაპარვია სულით ავათმყოფი, რომელსაც დაეძებს სოფელ სოფელ; არ იცის, ცოცხალია თუ მკვდარი. ნიშნები: საშუალო ტანის, ახალგაზდა, გამხდარი, წვერ მოპარსული, ლურჯი ხალათი აცვია და ზედ პალტო. ცოტა ნასწავლიც არის. მნახველებს სთხოვს აცნობოს, გაზეთის საშუალებით.

### სამწუხარო შეცდომა.

✦ გუშინდელ ჩვენი გაზეთის ახალ-ამბავთ შორის სამწუხარო შეცდომა შეგვპარია, ვითომც ქუთაისის ლაზარეთში „ციმბირის ჭირი“ გაჩენილიყოს. ამ ლაზარეთის ლაბორატორიის გამგე ექიმი ბ-ნი ასათიანი გვატყობინებს, რომ ლაზარეთში კი არ გაჩენილა ციმბირის ჭირი, არამედ იქ მიუყვანიათ ერთი ავათმყოფი, რომელსაც ეს სენი აღმოჩენია.

✦ გუშინდელ ფელეტონის ბოლოში დაუზუსტებლავათ დაგვრჩა შემდეგი შენიშვნა: „ვბეჭდავთ ბ-ნ აბრამიშვილის წერილს ხელოვნების შესახებ საკითხის გამოსარკვევათ. პატივცემულ ავტორის აზრს ბ-ნ რობაქიძისა და „სინათლე“ს შესახებ რედაქცია სავსებით არ იზიარებს.

## მოწოდება საკრედიტო ამხანაგობების მიმართ.

ყველასთვის აშკარაა, რომ გლეხები ჩარჩების წყალობით ცუდ პირობებში ვარდებიან აბრეშუმის თესლისა და ვენახის ნერგის შეძენის დროს. ამისთვის აუცილებლივ საჭიროა ამ საქმეში ხალხს დავეხმაროთ. დიდი სამსახურის გაწევა შეუძლია სოფლად საკრედიტო დაწესებულებებს. ყოველივე ეს ასწონ-დასწონა სამტრედიის საკ. ამხ. და მიიღო თავზე ინიციატივა—შექმნას მჭიდრო ორგანიზაცია აბრეშუმის თესლისა და ვენახის ნერგის შესაძენათ; ამ მიზნისთვის უნდათ გამოითხოვონ სახელმწიფო ბანკიდან განსაკუთრებული თანხა და სხვა...

მაგრამ საქმე უფრო გაიჩარხება და სასურველ ნიადაგზე დადგება, როცა რამდენიმე ამხანაგობა შეერთდება და ერთნაირად იმოქმედებენ ხალხის ინტერესებისთვის. საკ ამხ. წლიურ საზოგადო კრების მიერ არჩეულმა განსაკუთრებულმა კომისიამ საჭიროთ დაინახა მოხსენებულ დარგში სამუშაოდ, მოუწოდა მსურველ ამხანაგებებს აერჩიათ წარმომადგენელი და გაეგზავნათ კომისიის კრებაზე სამტრედიაში 13 ივლისს, სადაც შეერთებული ძალით გამოირკვეოდა და გადასწყდებოდა პრაქტიკული კითხვები აბრეშუმის თესლისა და ვენახის ნერგის შეძენისა. ვინაიდან კრება მრავალრიცხოვანი არ გამოდგა, და კრებამ საჭიროდ დაინახა, რაც შეიძლებოდა მეტი ამხანაგობები, ერთად შეკავშირება, ამიტომ 13 ივლისის კრებამ გადასწყვიტა მოუწოდოს ყველა იმ საკრედიტო ამხანაგობებს შესაერთებლათ, რომლებთათვისაც ძვირფასია დაბეჩავებულ გლეხთა ინტერესები და დაადგინა ასეთი კრება მოიწვიოს დ. სამტრედიაში კვირას, 27 ივლისს, დილის 11 საათზე, სამტრედიის წვ. კრედიტის ამხანაგობის ბინაზე.

ნუ დაიყოვნებთ, ამხანაგებო, ხელი გამოგვიწოდეთ ძმურათ სამოქმედოთ.

დაბეჯითებით ვსთხოვთ ყველა რედაქციებს მოწოდება გადასტამბონ.

თავჯდომარე კრებისა გრ. ურუშაძე.
მდივანი პოლიკარპე ნიშნიანიძე.

## ხმა სოფ. ქოლობანიდან.

(დამდურებულის წერილის გამო).

გაზეთი ,,აზრის‘‘ 67 ე ნუმერში იყო მოთავსებული წერილი ,,დამდურებულის‘‘ ფსევდონიმით. ავტორი ეხება რა სამიქაოს საზოგადოებას, იხსენებს სოფ. ქოლობანის კულტურულ დაწესებულებებს: სკოლას, მომხმარებელ საზოგადოების განყოფილებას, სამკითხველოს და წვრილ საკრედიტო ამხანაგობას; ამავე დროს გვისაყვედურებს, რომ იქ სკოლა აგებულია ისეთ ადგილზე, რომელიც ბაყაყთა და ციების სამეფოთ ითვლება; მომხმარებელი საზოგადოების განყოფილებაც დაიხურაო, სამკითხველოც გაეპარათ ქოლობნელებსაო, და დღეს ნუგეშად აქვთ მხოლოდ ორი დაწესებულება: სკოლა და წვრილი საკრიდიტო ამხანაგობაო.

„დამდურებული“ ატყობს და ხედავს რაღაცა ნიშნებს, რომ მომავალში ვითომ ეს დაწესებულებებიც გაჰქრებიან. უსაყვედურებს აქაურ მასწავლებლებსაც, რომელთაც ,,ვითომ‘‘ ბევრი რამ შეუძლიათ, შესახებ სკოლის შენობის სხვა ადგილზე გადატანისა, და მათ (მასწავლ.) აზრათაც არ მოსვლიათ ასეთი საქმეო.

არ შემიძლია არ ვუპასუხო ავტორს, რომ ის სცდება ასეთი საყვედურის წარმოთქმის დროს, ვინაიდან მან კარგათ იცის თავისი მეზობლებისა და ამხანაგების უმანკო პოლიტიკა. ის ხშირი მოწამეა იმ აურ-ზაურისა და მითქმა-მოთქმის, რომელიც ხშირად ხდება სოფლის ყრილობის დროს. როდესაც მასწავლებელი თავის აზრს გაუზიარებს ხოლმე სკოლის შესახებ საზოგადოებას, ერთი ,,ალთას‘‘ გაიძახის და მეორე ,,ბალთას‘‘, და მასწავლებელი იძულებულია დაუთმოს ადგილი იმ მეტოქეს, რომელსაც ლანძღვითა და მუქარით თითი მოაქვს მასწავლებლის პირში ჩასათხრელათ. ამგვარად ასტყდება ყვირილი და მასწავლებლის წარმოთქმული გულ-წრფელი სიტყვები უშედეგოთ რჩება. ამის შემხედვარე მწარე ღიმილით ამბობ: ,,ერთ მეომარს ასი რომ სცემდეს, კლდეც რომ იყოს, გასტეხს, მტერი‘‘,

სიმართლე უნდა სთქვას კაცმა ქოლობნელები სრულიადაც არ ზრუნვენ არც სკოლისა და არც თავის შვილებისთვის, რომელთაც სკოლაში ზრდიან და არც სურთ სკოლის გადატანა უკეთესსა და მოხერხებულს ადგილზე. ნათქვამი იქიდანაც მტკიცდება, ერთხელ რომ აუშენებიათ სკოლის შენობა, არ გაუთვალისწინებიათ, არც ადგილის მდებარეობა და არც ჰაერი, რომელიც უმთავრესს საჭიროებას შეადგენს სკოლისთვის. სკოლა აუგიათ ცხენის წყლის მარჯვენა ნაპირზე, რომელიც დაშორებულია სკოლიდან ერთი ვერსის მანძილზე. ცხენის წყალი ხშირი სტუმარია სოფ. ქოლობანისა და უმეტესად სკოლისა. სკოლა დგას მეტად ჭაობიან ადგილზე, თუმცა ბევრად უკეთესი მაღლობი ადგილი მოიძებნენება ამ სოფელში. თვით შენობაც ძალიან უმგვანოთ და უხერხულად არის აგებული, რომლის ოთახებიც სრულიად ვერ იტევს მოწაფეების რიცხვს, სწორეთ ესაა მიზეზი, რომ ყოველწლიურათ დაქირავებულია კერძო სახლები ერთი--ან ორი, ისიც მოუხერხებელი და ეს გარემოება--კი სწავლას დიდათ აფერხებს.

იმათ ვერ წარმოუდგენიათ, თუ როგორ ავათმყოფდებიან მათი შვილები იმ დამპალი ჰაერით, რომელიც სუფევს მათ სკოლასა და ეზოში. ძალიან ხშირად ბავშებს აციებს, აქვთ გულის რევა და პირის ღება. რომ მათ სკოლის გადატანა არ უნდათ უკეთეს ადგილზე, ეს ჩანს კიდევ იქიდან, რომ, როდესაც, ამას წინათ, კომისიამ ფული გასწერა მცხოვრებლებზე სკოლის გადასატან ხარჯათ და უფრო კარგი შენობის ასაგებათ უკეთესს ადგილზე, მაშინვე გაჩნდენ მოწინააღმდეგე დასები, აფრინეს შიკრიკები მთავრობასთან საიდუმლო თხოვნებით და დანოსებით ,,არიქა ვიღუპებითო‘‘.

აი კიდევ ერთი მაგალითი ქოლობნელების გულგრილობისა სკოლისადმი. 9 ივანობისთვეს, როდესაც აზვირთებული ცხენის წყალი მოვარდა სკოლაში, ყურადღება არავინ მიაქცია. წყალი თანდათან მატულობდა, თითქმის სიმაღლით ერთს არშინამდი ავიდა და დიდი ზარალი მიაყენა, როგორც სკოლას, ისე ზოგს ახლო-მახლო მეზობლებსაც, საცოდავი მოწაფეები—ქალები და ვაჟები ფეხშიშვლები მუხლებამდი აკალთავებული მიდიოდენ სახლში. სკოლის ეზო წარმოადგენდა იმ დღეს სიგანით 30 საჟნიან მდინარეს, რომელშიც მაღალ ქვის ბოძებზე დასკუპებული ჩანდა შენობა. ჭები აივსო ნიღვარით, დასალევი წყალი აღარ იშოვებოდა და სკოლიდან გარედ შიშის გამო ვერავინ გამოდიოდა. მეორე დღეს, 10 ივანობისთვეს, მოწაფეები უნდა მოსულიყვნენ სკოლაში მოწმობებისათვის. გათენდა თუ არა, მოზრდილი—ბიჭები თითო ორორი დაკოჭავებულნი მუხლამდი მოდიოდენ წყალ-და-წყალ სკოლაში. უმეტესი ნაწილი მოწაფეებისა, როგორც ქალები, ისე ვაჟები მოყავდათ ურმებით სკოლაში. როდესაც მოწაფეებმა თავი მოიყარეს სკოლის ბალკონზე და უცდიდენ მოწმობების მიღებას, ამ დროს იგრიალა ბალკონმა და ჩაეშვა ძირს წყალში, ჩაცვინდენ მოწაფეები და სკოლის გამგეც. შეიქნა საცოდავი ბავშების წივილ-კივილი. რა სამწუხარო სურათს წარმოადგენდა, როცა ბავშვები წყალში ჭყაპუნობდენ და შველას თხოულობდენ. ისევ იქვე დამსწრე მასწავლებლების ჩქარი დახმარებით ბავშები გადარჩენ დახჩობას, თუმცა ზოგიერთი ბავში კი დაშავდა. ეს სამწუხარო ამბავი ზოგიერთი აქაური მცხოვრებისათვის სასიხარულოდაც დარჩა და სიცილ-ხარხარით ათვალიერებდენ ჩანგრეულ სკოლის ბალკონს. 25 ივანობისთვეს ცხენის წყალმა კიდევ ინახულა სკოლა. წყალი ახლა უფრო მეტი იყო პირველზე, მაგრამ ექვსი საათის დენის შემდეგ შეწყდა.

ბატ. ,,დამდურებულს“ კი აქვს მიზეზი დამდურებისა, მაგრამ ვისზე? ის მასწავლებლებს კი არ უნდა ემდურებოდეს, არამედ მას, ვინც კეთილ საქმეს ძირს უთხრის და ანგრევს, მასწავლებელნი ერთგულად სწევენ მძიმე უღელს და ასრულებენ თავის დანიშნულებასა და მოწოდებას.

დროებით ქოლობნელი.

## რუსეთი.

(ჟურნალ-გაზეთებიდან).

### დემონსტრაციები და გაფიცვები.

პეტერბურგი. გრადონაჩალნიკის კანცელარიის ცნობით, 11 ივლისს გაფიცულ მუშათა რიცხვი 133,000 აღიოდა. ამ დღის განმავლობაში მუშებმა რამდენსამე ადგილას სცადეს ჯგუფ-ჯგუფათ შეკრება, ახდენენ დემონსტრაციებსა და გაუფიცავ მუშებს სამუშაოდან ხსნიდენ; პოლიცია და ჯარი დემონსტრანტებს ფანტავდა. დააპატიმრეს 103 მუშა. შუადღის პირველ საათზე მუშათა ბრბო რამდენიმე ასეულ კაცისაგან შემდგარი მიადგა ხეტყის სახერხ ქარხანას და მოითხოვეს მუშაობისათვის თავი დაენებებიათ. გაჩნდა პოლიცია, მუშები მათ სროლითა და ქვების დაშენით შეხვდა. პოლიციამაც სროლა ასტეხა და მუშები გაფანტა. დააპატიმრეს 70 მუშა. ნაშუადღევის 3 საათზე მუშები რიცხვით 200 კაცი მივიდა საავგურე ქარხანაში მოსკოვის შოსეზე და აქ მომუშავე მუშები მოხსნა; ერთი მუშა, რომელიც ძალადობის წინააღმდეგ პროტესტს აცხადებდა, მეორე სართულიდან გადმოაგდეს; იგი სუბუქათ დაშავდა. აქ მოსულმა ყაზახებმა დემონსტრანტებს ტყვიები დაუშინეს და გაფანტეს. ამას გარდა ამ დღეს ერთეულ მუშათა დემონსტრატიული გამოსვლებიც ხდებოდა, რომელნიც თითქმის ყველა დააპატიმრეს. ერთი უბნის ზედამხედველი ქვით ზურგში მძიმეთ დააშავეს.

### გაფიცვები.

ვარშავა. ქალაქში და მის მიდამოებში გაიფიცა 50 ქარხანა ფაბრიკის მუშები. გაფიცულთა რიცხვი 15,000 კაცს აღემატება.

ბრიანსკი. გაფიცვა გამოაცხადა 7000 მუშამ. წესიერება არ დარღვეულა.

### მინისტრის ამხანაგის მოწოდება.

ბაქო. შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგმა ჯუნკოვსკიმ განცხადება გამოსცა, რომელშიც მოუწოდებს მუშებს, დაუყოვნებლივ შეუდგენ მუშაობას და ნუ შეუშინდებიან გაფიცულთა მუქარას. გაფიცულთ კი აფრთხილებს თუ ისინი მუშაობის მსურველთა წინაღმდეგ რაიმე ძალადობას იხმარენ, მაშინ მათ წინააღმდეგ სასტიკ ზომებს მივიღებო. გაფიცული მუშები გრადონაჩალნიკმა მიიწვია. კრება ოთხ ადგილას იყო დანიშნული. მაგრამ საბუნჩას გარდა მუშები არსად არ გამოცხადდენ. საბუნჩაში 5000-დი მუშა მივიდა.

### გაფიცვა ადესაში.

ადესა. გაფიცული არიან ყველა ქარხნისა და ფაბრიკის მუშები.

### დემონსტრაციები და გაფიცვები.

პეტერბურგი. მიუხედავათ იმისა, რომ მუშათა გაზეთმა „პეტ. პრავდამ“ მოუწოდა მუშებს, შეეწყვიტათ გაფიცვები და დემონსტრაციები, ის მაინც გრძელდება და ფართო ხასიათს იღებს. 9 ივლისს შეწყვეტის მაგიერ გაიფიცენ ისეთი ქარხნები და ფაბრიკები, რომლებიც წინათ მონაწილეობას არ იღებდენ. მუშათა გაზეთების წინააღმდეგ მთავრობამ სასტიკი ზომები მიიღო, თითქმის ყოველ ნუმერს აწყობამდი უშერებოდენ კონფისკაციას. ქუჩებში ჩხრეკდენ მეგაზეთეებს, ართმევდენ ნუმრებს. ხაზეინებმა ლოკაუტის გამოცხადება მოინდომეს, მარა დადგენილება ისევ უკან წაიღეს, რადგან დარწმუნდენ, რომ ეს საქმეს უფრო გაამწვავებდა.

საგულისხმოა ის, რომ მუშები ამ დღეებში ფხიზლათ არიან და სიმთვრალეს ერიდებიან. ბევრს ადგილას მათი სასმელის დუქნები კიდეც დახურეს. მუშების მღელვარება და თავგანწირვა იქამდი მიდის, რომ ხშირათ ხელგაშლილი პირდაპირ წინ ხვდებიან ტრამვაის ვაგონებსა და ეუბნებიან: თუ ძალა შეგწევთ, გაგვსრისეთო. მუშათა რაიონები, გარდა პოლიციელებისა, ყაზახებით და ჯარით აავსეს. ბევრს ადგილას მოხდა შეტაკება და ორივე მხარემ ტყვიები დაუშინეს ერთმანეთს. დახოცილთა შორის ქალები და ბავშვები არიან.

მოსკოვის რაიონში გაფიცული იყვენ თითქმის ყველა ქარხნები და ზავოდები. „ნოვოდევიჩის“ მონასტრის ახლოს დემონსტრანტებმა ალყა შემოარტყეს ტრამვაის ვაგონებსა და მოსთხოვეს მუშაობის შეწყვეტა. კონდუკტორები პირველათ უარზე დადგენ, ხოლო მერმე იძულებული იყვენ დამორჩილებოდენ. ამ გვარათ აქ ტრამვაის მიმოსვლა შეწყდა. ნასადილევს

---

თვის, მაგრამ, ჯერ ერთი, წინაალმდეგი ვართ, დიდ მემამულეებს უსასყიდლოდ ჩამოერთვას მამულები. სახელმწიფომ ღირებული, სამართლიანი ფასები უნდა უზღოს მათ. და, მეორე, წვრილ მესაკუთრეთ ტყვილა კი არა, სასყიდლით უნდა დაურიგდეს მიწები. სახელმწიფო მოვალეა მხოლოდ გაუადვილოს მათ მიწების შეძენა სხვადასხვა შეღავათიანი პირობით.

დიაღ! ლატიფუნდიებმა დაღუპეს რომი, დაღუპვენ, თუ არ გაჰქრენ, ევროპის თანამედროვე ცივილიზაციასაც.

მომხრე ვართ, დაწესდეს პროგრესსიული გადასახადი შემოსავლის კვალობაზე, რადგან, ვისაც მეტი აქვს, იმას მეტი მოეთხოვება, და გადასახადების მძიმე ტვირთი მარტო შეძლებულთა ღონიერ ბეჭებს უნდა ამძიმებდეს.

აღვიარებთ მუშათა შესახებ ჰუმანიურ კანონმდებლობას, მაგალითად, კოალიციათა და კავშირთა, სიტყვისა, ბეჭდვისა და კრების თავისუფლებას, პიროვნების ხელშეუხებლობას, რვა საათის სამუშაო დღეს, ქალთა, ბავშთა და ავადმყოფთა დამცველ კანონებს, საყოველთაო სარჩევნ უფლებასა და სხ.

მაგრამ კერძო საკუთრების პრინციპი ხელშეუხებელი უნდა დარჩეს, რადგან ეს დაწესებულება ის საფუძველია, რომელსაც ემყარება პიროვნების თავისუფლება.

გავიმეორებ: ჩვენი სოციალ-დემოკრატია თავისი რწმენით იაკობინელებზე კიდევ უფრო იაკობინელები არიან და იმავე დროს სავსებით ემსგავსებიან მათ ტაკტიკით, ბრძოლის წესით. ის საშინელი რეაქცია, რომელიც დღეს თვით საზოგადოებასა და ხალხში სუფევს, მისმა იაკობინურმა ტაკტიკამ წარმოშვა. და, დღეს ისინი განათლებული საზოგადოების თვალში ზნეობრივად უკვე მკვდარი არიან.

როგორცა ვთქვით, სოციალდემოკრატები—ფანატიკოსები არიან-

რა არის ფანატიზმი?—როდესაც შენი ყველაფერი ბრმად, უკრიტიკოდა გწამს და სხვისი ყველაფერი გეჰქვება, ამას ჰქვია ფანატიზმი.

მეცნიერული თვალსაზრისი კი ის არის, როდესაც დროდადრო შენს საკუთარ რწმენასა და შეხედულობას კრიტიკის ქარცეცხლში გაატარებ, ხელახლა შეამოწმებ ახალი ფაქტებით. და, თუ ამ გამოცდას ვერ გაუძლო, კიდევაც უარყოფ.

ამგვარად მეცნიერის რწმენას პირობითი ხასიათი აქვს, ე. ი. მხოლოდ მანამდის არის შეუცვლელი, ვიდრე მისი შემცვლელი და შემსწორებელი ახალი ფაქტები არ აღმოჩნდებიან. ამიტომ, მეცნიერული რწმენა ხშირად საფუძვლიანად იცვლება და კიდევ უფრო ხშირად შესწორდება და შეივსება ხოლმე.

ფანატიზმი უკიდურესი ჟინიანობაა და აღიარებს ერთხელვე შეთვისებულს ბრმა რწმენას, აუარებელი ფაქტიც რომ ღაღადებდეს მის წინააღმდეგ. ამიტომ, ფანატიკოსი ფაქტებს განზრახ ისე ალაგებს და აწყობს, თავისი წინასწარი შეხედულობა რომ დაადასტუროს: ჭეშმარიტებას—თავისი რწმენა ურჩევნია. და ჩვენი სოციალდემოკრატები ამ მხრით—საშუალო საუკუნეთა მაჭმადიანებს ან მართლმორწმუნე ქრისტიანებს მოგვაგონებენ: ისინი არაფერს არ ერიდებიან, არც ფაქტების გადამახინჯების და არც მოპირდაპირის საცინლად აგდებასა და ცილისწამებას, ოღონდა კი მარქსის მიერ აღსარებული დოგმები როგორმე დაიცვან და განამტკიცონ.

პროლეტარიზაცია და სოციალიზმი—ეს მათი სარწმუნოებრივი დოგმაა, რომელიც ბრმად, ფანატიკურად სწამსთ და რომლის საეჭვოდ გამოცხადება, კრიტიკა, მიუტევებელ ცოდვად მიაჩნიათ.

და სწამსთ, რომ მათი—ყველაფერი მართალია და სხვისი—ყველაფერი სიცრუეა!

ამგვარად ჩვენი სოციალდემოკრატები უარყოფენ ერის სხვადასხვა ეკონომიურ კლასს შორის არსებულ ერთობასა და თანამშრომლობას, აღიარებენ ინტელიგენციის დიდ უმეტესობას ხალხის მტრად, ცდილობენ გაუბატონდენ მუშათა პროფესსიონალურ ორგანიზაციებს, უშლიან თავის მიმდევრებს, გაეცნონ არა სოციალდემოკრატიულ მოძღვრებათ, სდევნიან სხვა მიმართულებათა ლიტერატურას, აღიარებენ პოლიტიკურ ცენტრალიზაციასა და იაკობინურ ტაკტიკას, სწამსთ ბრმად, ფანატიკურად თავისი პარტიული დოგმები და არ შეუძლიათ მეცნიერული თვალით შეხედონ სხვის მრწამსს: სხვისი—ყველაფერი ცოდვად მიაჩნიათ, თავისი კი—ერთად-ერთ ჭეშმარიტებად.

მაგრამ თანამედროვე მეცნიერება აღიარებს, რომ ყველაფერი პირობითია და არაფერი არ არის აბსოლიუტური.

ისარი.

(შემდეგი იქნება).

სავაჭრო სახლი
ი. გოკიელის შვილების
ქუთაისში.
ამით საყოველთაოდ აცხადებს რომ, ზომიერ ფასებში მიღებულია და იყიდება საუკეთესო ხარისხის საზღვარგარეთის ჯიბის დანები,
პორტფელები, უბის წიგნაკები (კნიჟკები), საანგარიშო ჩოთქები, ყოველ ნაირი საწერი, საბეჭდავი და ფოშტის ქაღალდები.

დეპო ლამპეულის, ჭურჭლეულობის, ავეჯეულობისა და ელექტრონის მოწყობილება ქ. ქუთაისში.
ნ. გ. რაფაელოვი და პ. ნ. ჩაკვეტაძისა. მიხაილოვის ქუჩა,
მოგვეპოვება ყოველთვის ელექტრონის მრავალგვარი არმატურა და მისი მოწყობილება; ვასრულებთ ელექტრონის მოწყობას ჩვენის მასალითა და გარანტიით დიდ სალავათიან ფასებში და ყველა კონკურენციის გარეშე, მოგვეპოვება აგრეთვე ყველანაირი საოჯახო სამკაული, ნავთის სამოვრებ ლუმელები (ფეჩები), სამზარეულოები, იატაკზე საფენი ლინოლეუმი, ლინოლეუმი საუკეთესო განთქმული ქარხნებისა და სხვა პიანინოები და მრავალგვარი საოჯახო ნივთი. ვაჭრობა დანიშნულიანაღდი, ფულზე, რის გამოც ფასები ყველა საქონელზე ძლიერ დაკლებულია. ელექტრონის მოწყობას თვალყურს ადევნებს ჩვენგნით სპეციალურათ მოყვანილი ხარკოვში უმაღლესი სწავლა დამთავრებული ელექტროტეხნიკი.
პატივისცემით ნ. გ. რაფაელოვი და პ. ნ. ჩაკვეტაძე.

Тифлисская контора Акціонернаго Общества пробочной мануфактуры ВИКАНДЕРЪ и ЛАРСОНЪ
симъ имѣетъ честь довести до свѣдѣнія почт. покупателей, что нашъ „ЛИБАВСКІЙ ЛИНОЛЕУМЪ" въ КУТАИСѢ имѣется въ продажѣ исключительно въ магазинѣ Ф. С. ФИЛИППОВА. Въ виду того, что въ газетѣ „ИМЕРЕТИ" недавно появилось объявленіе одной кутаисской фирмы, съ предложеніемъ „Либавскаго Линолеума", считаемъ своимъ долгомъ предупредить лицъ интересующихся этимъ матеріаломъ, что названіе „Либавскій Линолеумъ" принадлежитъ только производству нашихъ заводовъ и что помимо Ф. С. Филиппова въ Кутаисѣ на линолеумъ у насъ перепродавцовъ нѣтъ. Рекомендуя этотъ фабрикатъ какъ лучшую и гигіеничную настилку для половъ просимъ за смѣтами и другими справками обращаться къ названной выше фирмѣ.

დეპო ლამპეულის, ჭურჭლეულობის, ავეჯეულობისა და შპალიერისა ქ. ქუთაისში.
ფ. ს. ფილიპოვისა. ალექსანდრეს ქუჩაზე,
მოგვეპოვება ყოველთვის ელექტრონის მრავალგვარი არმატურა და მისი მოწყობილობა; ვასრულობთ ელექტრონის მოწყობას ჩვენის მასალითა და გარანტიით დიდ სალავათიან ფასებში და ყველა კონკურენციის გარეშე. მოგვეპოვება აგრეთვე ყველანაირი საოჯახო სამკაული, ნავთის სამოვრები, ლუმელები (ფეჩები), სამზარეულოები, იატაკზე საფენი ლინოლეუმი, განთქმული ლიბავის ქარხნის ,,ვიკანდერ და ლარსონის'' სამუსიკო ინსტრუმენტების (საკრავები), საეკლესიო სამკაული და მრავალგვარი საოჯახო ნივთი. ვაჭრობა დანიშნულია ნაღდ ფულზე, რის გამოც ფასები ყველა საქონელზე ძლიერ დაკლებულია.
პატივისცემით ფ. ფილიპოვი.

ტრამვაის პარკის მუშებიც გაიფიცენ და წავიდენ ქალაქის სასაკლაოსკენ. სასაკლაოს მუშებმაც შესწყვიტეს მუშაობა და შეუერთდენ დემონსტრანტებს. რამდენსამე საათს შემდეგ გაიფიცენ ტრამვაის კონდუკტორები, გამართეს მიტინგი და გამოიტანეს საპროტესტო რეზოლუცია. ერთი სიტყვით, ამ დღეს პეტერბურგის ყველა ქუჩაში მართავდენ დემონსტრაციებს, იმღეროდენ რევოლუციონურ სიმღერებს, აკეთებდენ ბარიკადებს და აჩერებდენ ტრამვაის მიმოსვლას. მთლათ ამ დღეს დაჭრილთა რიცხვი ასს კაცს აღემატება.

გაიფიცვა პეტერბურგის ახლო-მახლო მიდამოებსაც მოედვა. მუშები გამოდიან ქუჩებში და აჩერებენ მატარებლებს.

### მუშათა გაზეთების თანამშრომლების დატუსაღება.

8—9 ივლისს, მთელს პეტერბურგში განუწყვეტელი ჩხრეკა და დატუსაღება წარმოებდა. დაატუსაღეს მუშათა გაზეთების თანამშრომლები და წაიღეს ყოველგვარი მიწერ-მოწერა. პოლიციის ცნობით, დაატუსაღეს გაფიცვის ცენტრალური კომიტეტები.

9 ივლისს, გრადონაჩალნიკის თავჯდომარეობით მოხდა პეტერბურგის პოლიცმეისტრების კრება, რომელმაც დასახმარებლათ ჯარი მოითხოვა.

### გაფიცვები მოსკოვში.

გაფიცვები და დემონსტრაციები მოსკოვშიც დაიწყო. 8 ივლისს გაიფიცა რამდენიმე ქარხანა და ფაბრიკა. სულ გაფიცულთა რიცხვი 20 ათასამდი ადიოდა.

### ტრამვაის გაფიცვა.

8 ივლისს, მოსკოვში ყველასთვის მოულოდნელათ შეწყდა ტრამვაის მიმოსვლა. ეს გაფიცვა ისე მოულოდნელი იყო, რომ კონდუკტორებმა არ იცოდენ, რაში იყო საქმე. დილას, როდესაც პარკში მივიდენ ელექტრო-სადგურის მუშები, მათ უარი განაცხადეს მუშაობაზე, რის გამო ტრამვაის ვაგონების მიმოსვლა უცებ შეჩერდა. ხელათ მოვიდა ქალაქის თავი და ადმინისტრაცია და სთხოვეს მუშებს დაეწყოთ მუშაობა. მუშებმა უარი განაცხადეს, ქალაქის გამგეობამ გადასწყვიტა: რადგან გაფიცვა დროებით იყო, ამიტომ არავითარ ზომებისთვის არ მიემართა.

### გაფიცვები პროვინციებში.

8 ივლისს რიგაში ერთი დღით გაფიცვა გამოაცხადა 18 ათასმა მუშამ. გაფიცულები მართავდენ კრებებსა და დემონსტრაციებს. დაატუსაღეს რამდენიმე მუშა.

— ხარკოვში ქარხნებისა და ფაბრიკების გაფიცვები გრძელდება. მუშების ერთმა ნაწილმა 8 ივნისს სცადა დემონსტრაციის მოხდენა. პოლიციამ ისინი მალე დაშალა.

ეკატერინოდარში ნიშნათ ბაქოსა და პეტერბურგის რეპრესიებისა ერთი დღით გაიფიცა 5 ათასი მუშა. გაფიცული იყვენ ქარხნები და სტამბები.

— ოდესაში მუშებს დილიდან მღელვარება ეტყობოდათ. გაიფიცა რამდენიმე ქარხანა და ფაბრიკა, ქუჩებში დემონსტრაციები მოხდა. ქალაქში ყაზახთა რაზმი დადის.

# უცხოეთი.

## ჟურნალ-გაზეთებიდან.

### ლიბერალების რეზოლუცია.

ლონდონის თემთა პალატაში კრება მოხდა, რომელშიც ღებულობდენ მონაწილეობას ასზე მეტი პარლამენტის წევრები-ლიბერალები. მეფისა და კაბინეტის მოქმედება კრიტიკის ქარცეცხლში გაატარეს. ორატორთა ყველა სიტყვის დასკვნა შემდეგი იყო: „ჩვენ ნებას არ მივსცემთ მეფეს პალატის უფლებებს რამე ჩამოაკლოსო". კრების რეზოლუცია მოითხოვს, რომ კაბინეტი არავითარ დათმობაზე არ წავიდეს ჰომრულის საკითხში და არაფერს შემთხვევაში არ დაეთანხმოს პარლამენტის დათხოვნას იმ დრომდი, ვიდრე გარკვეული არ იქნება მთელი მისი პროგრამა, ან სხვანაირათ რომ ვსთქვათ, ვიდრე ახალი არჩევნები, მხოლოდ ერთი წლის შემდეგ არ მოხდება.

### მუშათა პარტიის მუქარა.

დერბში (ლონდონი) მრავალრიცხოვან მიტინგზე პარლამენტის წევრმა ტომასმა, რომელიც ამავე დროს ერთი უმთავრესი ხელმძღვანელთაგანია რკინისგზის მუშათა კავშირისა, სთქვა: — ჩვენ მოწმე ვართ კონსტიტუციის კრიზისა. მუშათა კლასი ნებას არავის მისცემს დაარღვიოს მათი მამებისაგან სისხლით მოპოებული უფლებები. ბუკინგემის სასახლის თათბირი მეფისაგან გამართულია იმ მიზნით, რომ მოსპოს პარლამენტის აქტი.

### ინგლისის პრესა.

თითქმის მთელი ლიბერალური პრესა კრიტიკის ცეცხლში ატარებს მეფისაგან ბუკინგემის სასახლეში წარმოთქმულ სიტყვას.

,,დაილ ქრონ. სწერს:

— გუშინ ჩვენ გვინდოდა დაგვეფარა მეფე და უარვყოფდით მისკენ მიმართულ სიტყვებს. დღეს კი, მეფემ თავის სიტყვაში ყვითელი პრესის თვალსაზრისი გაატარა. კონსერვატორებზე იგი ლაპარაკობს „ჩვენ", ლიბერალებზე კი „ისინი", ჩანს, იგი გამოდის კონსერვატორის როლში. მართალია, გერმანიის მეფისთვის პრუსიის კონსერვატორები იგივე „ჩვენ"-აა, რადიკალები და სოც. დ.—,,ისინი'', ან, თითქმის ,,შინაური მტრები'', მაგრამ გერმანიის მეფე თუ უკეთუ ხმაროპს ასეთ გამოთქმებს, ეს იმიტომ, რომ იგი არათუ მეფობს, არამედ მართავს სახელმწიფოს. ინგლისის მეფე კი მარტო მეფობს და არა მართავს. ამიტომ ჩვენ გულახდილათ ვეტყვით მეფეს, რომ იგი დაქანებულ გზაზეა შემდგარი. —

,,დეილ ნევე'' სწერს:

ჩვენ ცუდ სამსახურს გავუწევთ მონარქს, თუ დავუმალავთ მას ქვეყნის უკმაყოფილებას, რომელიც შედეგია მისი საქმეში ჩარევისა. ეს გამოსვლა მეფისა დაკავშირებულია მრავალ სხვა გამოსვლასთან, რომელიც მიმართული იყო პარლამენტის აქტის მოსასპობათ. როგორც კი ლორდების ვეტო უარყო პარლამენტარულმა აქტმა, კონსერვატორებმა და მეფის უპასუხისმგებლო მრჩევლებმა, სამხედრო შეთქმულობის მოხმებით, შექმნეს კამარილია, მეფის მეთაურობით, რომელიც ცდილობდა მოხერხებით ჩაეგდო ხელში პარლამენტის უფლება. საჭიროა, ამ ფაქტებს ანგარიში გავუწიოთ. ჩვენი შესისხლხორცებული თავისუფლების დარღვევის ცდა და ბუკინგემის სასახლეში მომხდარი თათბირი, როგორიც უნდა იყოს მათი, შედეგი გვავალებს ჩვენ — ყველა დემოკრატს ანგარიში გაუწიოს ამ მდგომარეობას და ვიყოთ დარაჯათ.

### წერილი რედაქციის მიმართ.

ბ. რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ უახლოეს №-ში თქვენი პატივცემულ გაზეთისა ადგილი მისცეთ ამ ჩემს წერილს.

„იმერეთის'' 99-ე ნუმერში მოთავსებული წერილი ,,ერთი დამსწრეთაგანის'' რომელიც მოუხოცელ ჩირქსა სცხებს ჩემს პიროვნებას, რამაც მე ძლიერ ამაშფოთა. მე მგონია ბ. დამსწრე პირადი ანგარიშებით დაბრმავებული შეიარაღდა ჩემს წინაამდეგ, რათა საზოგადოების თვალში დაემცირებია ჩემი პიროვნება,—რასაც, მგონია, ათასი რამ ჯღაბნოს, მაინც ვერ შესძლებს, რადგან აქაურმა საზოგადოებამ დაჯაგრეთვე, სადაც მიმსახურნია, კარგად იციან ჩემი ვინაობა. ამისათვის წინადადებას ვაძლევ ბ. დამსწრეს ნიღაბი აიხადოს და გამომყვეს სამედიატორო სამართალში, რითაც საშვალება მომეცემა დავუმტკიცო; 1,—რომ მე ბახუსის მოთაყვანეთა რიცხვს არ ვეკუთნი; 2, რომ სამიკიტნოების არა თუ ხშირი სტუმარი—მტერიცა ვარ და 3, რომ ჩემი ზნეობრივი და აღმზრდელობითი მხარეები საზოგადოთ არა თუ დასაგმობი და გასაკიცხია, არამედ, რასაც მოწმობს ჩემი წასული (12 წლის სამსახური უმწიკვლო) და აწმყო, სამაგალითო და მისაბაძია.

მედიატორებათ ვასახელებ: სტუდ. ივლიანე ლასხიშვილს, მიწისმზომელ გიორგი ნიკოლაიშვილს და მასწ. გიორგი ნამიჭეიშვილს.

გამოცხადების შემდეგ ხუთი დღის ვადას ვაძლევ მედიატორების დასანიშნავათ.

მასწ. ნ. ძ—მე.

## ანგარიში

### ამ წლის 15 მაისს ძველი სენაკის სააზ. სკოლაში გამართულ სახალხო სეირნობისა და სალიტერატურო საღამოს შემოსავლისა და ხარჯების.

ფული შემოსწირეს: ხუთი თუმანი აკაკი ხოშტარიამ; თითო თუმანი—თ-დ ასტამურ ინალიშვილმა, კნ. სალომე მხეიძისამ, თ-დ სუტუნია მიქელაძემ, აქიმმა ი. ხოფერიამ, ბ. ალექსი ბერიძემ და ბ. ივანე დიდიამ; თითომ ხუთი მანეთი—თ-დ ბარდღა მხეიძემ, ბ. პესუ მაღნარაძემ, ბ. სპირდონ ლოლუამ, თ-დ დათიკო დადიანმა, ექიმმა გ. ჯორჯიკიამ, აქიმმა კ. მიქაბერიძემ, თ-დ ბესარიონ მხეიძემ, ბ. კალისტრატე ბერიძემ და ბ. ვლადიმერ ალშიბაიამ, სამ-სამი მანეთი— ბ.ბ. გრიგოლ თოფურიძემ, ალექსანდრე სააკავამ. მამანტი კანდელაკმა, ექიმმა ეზიკოვმა, და ალექსანდრე ხოშტარიამ.—სულ ფულად შემოწირული 170 მ. ამოგერუბია: ბალში შესასვლელი ბილეთებს 47 მ. 68 კ. ხალხში შესასვლელი ბილეთებს 159 მ. 14 შ. შამპანიურის 81 მ. 65 კ. ტკბილეულობის 49 მ. 12 კ. ბედიას რგოლებს 18 მ. 23 კ. ჩაის 32 მ. 8 კ. დუქნის შემოსავალი 31 მ. 23 კ. ბანქოს 11 მ. 1 აბ. ვახშმის 47, წყლის 7 მ. და 1 აბ. დარჩენილი ნივთების გაყიდვით 8 მ. და 14 შ. სულ შემოვიდა 663 მ. 84 კ.

დაიხარჯა: მუსიკასა და ზურნაზე 100 მ. მიმოსვლაზე, მიწერ-მოწერაზე და ურმების ქირაზე 39 მ. 58 კ. ვახშმის სამასპინძლოზე და დამზადებაზე 89 მ. 31 კ. ჩაიზე, შამპანიურზე და წყალზე 49 მ. 17 კ. მარკებზე, აფიშებზე, ბილეთებზე და ფარნებზე 18 მ. 3 აბ. პროექტორის ქირა 20 მ. ბალის მოწყობაზე და განათებაზე 21 მ. 11 შ. არტისტის საგზოთ და წვრილმანი 14 მ. 26 კ. სულ დაიხარჯა 355 მ. 47 კ. სააზ. სკოლის სასარგებლოთ დარჩა წმინ. და შემოსავალი 308 მ. 37 კ.

ღრმესს მადლობას ვწირავთ როგორც ანგარიშში აღნიშნულ ფულის შემომწირველთ, აგრეთვე გ. ქავთარაძეს რგოლებით მოსაგებ 30 მანეთის ნივთების შემოწირისთვის, მსახიობს გ. ნემოს, საღამოში უსასყიდლოდ მონაწილეობის მიღებისათვის, ქქ. ნ. ი. ხოფერიასას, თამარა მიქელაძის ასულს, ნუცა მხეიძის ასულს, გოგოლა თოფურიძის ასულს, ნატაშა გეგეჭკორისას, ნ. სისორდიას ქალს კნ. ქატუ დადიანის ქალს და ყველას რომელთაც პირადი შრომით დახმარება აღმოგვიჩინეს საღამოს მოწყობაში. მადლობას ვწირავთ აგრეთვე თ-დ ფაღავას, და ყველა პატივცემულ სტუმრებს.

სკოლის დღეობს გამგე-დიასახლისი კნ. მ. დადიანისა.

სენაკის სკ. გამგე პ. ღორთქიფანიძე.

რედაქტორ-გამომცემელი ბ. ჯაიანი.

ახალი უვნებელი საშუალება
რძე პირისახისათვის „ბეტტი"
ფარმ. ს. ს. ნადარეიშვილის.
არბილებს და ასუფთავებს სახეს; სპობს სრულებით ფერმჭამლებს, გადაყავს ნამზეური და ასწორებს პირის ნაოჭებს. ურჩევ აგრეთვე მამაკაცებს ვინც პირს ხშირათ იპარსავს და ექერცლებათ სახე, მოითხოვეთ ყველა აფთიაქში და აფთიაქის მაღაზიაში. უმთავრესი საწყობი ქ. ტფილისში ლიბის აფთიაქი ს. ს. ნადარეიშვილი. განყოფილება ქ. ქუთაისში აფთიაქის საწყობი ლ. კოკოჩევი და პ. შავერზოვი. ფასი ერთი მანეთი. აფთიაქებსა და აფთიაქის მაღაზიებს სკიდკა.

სპეციალური წიგნის მაღაზია
კონსტანტინე ივ. ძის ოცხელისა და ამხ.
(ქუთაისში.)
აცხადებს, რომ იგი იწერს დიდძალ წიგნს რუსეთისა და საქართველოს ფირმებისაგან, რომლებზედაც მას აქვს პირდაპირი და სალავათიანი დამოკიდებულება, და გამოწერილ წიგნებს უკეთებს საუკეთესო ყდას ახლად გამართულს საკუთარ საკაზმავ სახელოსნოში.
ამის გამო მას, როგორც სპეციალურს და უდიდეს წიგნის მაღაზიას ქუთაისში, ეძლევა საშუალება დაუთმოს წიგნები მეტად სალავათიანი პირობებით ყველა განმანათლებელ დაწესებულებას: შკოლებს, ბიბლიოთეკებს, სამკითხველოებს და სხვ. პროვინციის წიგნის მაღაზიებს მიეცემათ ის დათმობა, რაც შეუძლიათ მათ მიიღონ რუსეთიდან წიგნების პირდაპირი გამოწერით, თუ იგინი ერთი თვით ადრე დაიკვეთენ წიგნებს.
მსურველთ ეგზავნებათ უფასოდ ქართულისა და რუსული წიგნების ახლად შედგენილი კატალოგები.
წიგნის მაღაზიის გვერდით გამართულია საუკეთესოთ მოწყობილი საკანცელარიო მაღაზია დ. ოცხელისა, სადაც მოიპოება ყოველგვარი საკანცელარიო და სასწავლო ნივთი მეტად ზომიერ ფასად.

ნ. ს. ტერკის მაღაზია
ქუთაისში
ველოსიპედები


ყველაზე იაფად.
შინები, ნაწილები და მოწყობილებანი კონკურენციის გარეშე
ყველაზე იაფად
ფულის გადახდა ნაწილ-ნაწილათაც შეიძლება. მოითხოვეთ პრეისკურანტები უფასოთ.

## რკინის გზა

**ქუთაისიდან მიდის**

| | | |
|---|---|---|
| თფილისს: | ფოშტის დილის | 11 საათ. 55 წ. |
| | ჩქარი ღამით | 2 საათ. 57 წ. |
| | სახალხო დილის | 10 საათ. 10 წ. |
| | სახალხო ღამით | 1 საათ. 7 წ. |
| ბათომს: | ფოშტის საღამოს | 5 საათ. 30 წ. |
| | ჩქარი ღამით | 2 საათ. 57 წ. |
| | სახალხო საღამოს | 8 საათ. 35 წ. |
| | სახალხო დილის | 4 საათ. 27 წ. |
| ფოთს: | სახალხო საღამოს | 4 საათ. 14 წ. |
| | სახალხო ღამით | 2 საათ. 57 წ. |
| | სახალხო დილით | 4 საათ. 27 წ. |
| | ფოშტის საღამოს | 5 საათ. 30 წ. |
| | სახალხო საღამოს | 8 საათ. 35 წ. |
| შორაპანს: | საგარაკო საღამოს | 5 საათ. 00 წ. |
| ტყიბულს: | სახალხო დილის | 6 საათ. 20 წ. |
| | სახალხო საღამოს | 4 საათ. 20 წ. |

**ქუთაისს მოდის.**

| | | |
|---|---|---|
| თფილისიდან: | ფოშტის საღამ. | 6 საათ. 57 წ. |
| | ჩქარი ღამით | 3 საათ. 50 წ. |
| | სახალ. საღამოს | 9 საათ. 44 წ. |
| | სახალხო ღამით | 5 საათ. 50 წ. |
| ბათომიდან: | ფოშტის დღით | 1 საათ. 25 წ. |
| | ჩქარი ღამით | 3 საათ. 50 წ. |
| | სახალხო დღით | 11 საათ. 22 წ. |
| | სახალხო ღამით | 2 საათ. 23 წ. |
| ფოთიდან: | სახალხო დილით | 10 საათ. 3 წ. |
| | ფოშტის დღით | 1 საათ. 25 წ. |
| | სახალხო ღამით | 2 საათ. 23 წ. |
| | სახალხო ღამით | 3 საათ. 50 წ. |
| შორაპნიდან: | საგარაკო დილ. | 9 საათ. 18 წ. |
| ტყიბულიდან: | სახალხო საღამოს | 7 საათ. 39 წ. |
| | სახალხო დილით | 9 საათ. 38 წ. |

სტამბა „ძმობა", პუშკინის ქუჩა სახლი გოკიელოვის.